სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

39060647748522

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220040315

რეგისტრაციის თარიღი

17.01.2022 წ

ნოტარიუსი: ოთარ გოლოძე
მისამართი: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, N 30, მე-2 სართული, N8
ტელეფონი: 577 111 881

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ჩვიდმეტ იანვარს, მე, ნოტარიუს ოთარ გოლოძეს, სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, №30, მე-2 სართული, №8, მომმართა **აკაკი ლომაურმა,** რომელმაც განაცხადა რომ არის **სს სადაზღვევო კომპანია ალფა**-ს (ს/ნ **204568896**) გენერალური დირექტორი და როგორც გენერალურმა დირექტორმა მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. ამასთანავე, მან მოითხოვა აღნიშნული სანოტარო მოქმედების შესრულება მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №16.

მე გამოვცხადდი აღნიშნულ მისამართზე, შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **აკაკი ლომაურმა** (დაბ: 21.01.1985წ. მის: თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 46, ბ/ნ **01004009862**) მომმართა.

აკაკი ლომაურის, როგორც **სს სადაზღვევო კომპანია ალფას** (ს/ნ **204568896**) გენერალური დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან №: **B2113275**, მომზადების თარიღი 31/12/2021წ.

მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ მას წავუკითხე მინდობილობა და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

სს "სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს გენერალური დირექტორი **აკაკი ლომაური** ანიჭებს კომპანიის ფინანსური სამსახურის უფროსს **მაია ხელაშვილს** (პირადი № **01027057174**), უფლებამოსილებას მასზედ, რომ მან წარმოადგინოს სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს ინტერესები ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, საჯარო და სამეწარმეო რეესტრში (კომპანიის სახელით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას თუ დოკუმენტს, მათ შორის (და არამხოლოდ) ქონების ნასყიდობასთან (როგორც ყიდვასთან ასევე გაყიდვასთან დაკავშირებით), იჯარასთან და ნებისმიერ უფლებრივად დატვირთვასთან/გაუქმებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ასევე მოახდინოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განსახორციელებელ ნებისმიერ ქმედებასთან/რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების ხელმოწერა და შესაბამისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და დაწესებულებებში, სანოტარო ბიუროში და საბაჟო სამსახურებში, საერთო სასამართლოებში, კერძო ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან ურთიერთობებში, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, ყველა სახის ხელშეკრულებას (მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს), აქტებს, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს შესახებ, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებებს, ცვლილებებს, დამატებით შეთანხმებებს, გადაწყვეტილებებს, აქტებს, შემოსულ და გასულ კორესპონდენციას, ოფიციალურ წერილებს, თანამშრომლების განცხადებებს, სხვადასხვა ტიპის ბრძანებებს, ოფიციალურ სტრუქტურებში წარსადგენ განცხადებებს და დოკუმენტაციას, სარჩელებს და საჩივრებს, აგრეთვე იგი უფლებამოსილია სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს გენერალური დირექტორის სახელით გააფორმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს თანამშრომლებთან, მათ შორის გასცეს შიდა მინდობილობა, ხელი მოაწეროს ამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჭირო დოკუმენტს, აგრეთვე წარმოადგინოს სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს ინტერესები საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში და მის სერვის-ცენტრებში, ხელი მოაწეროს ბანკთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს, მართოს და განკარგოს საზოგადოების კუთვნილი ანგარიშები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო-საფინანსო ოპერაციები, განახორციელოს გადარიცხვები, განაღდება და კონვერტაციები, შეასრულოს ნებისმიერი სახის სხვა იურიდიული ფორმალობა დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან, წარმოადგინოს სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს ინტერესები საგადასახადო ორგანოებთან და სსიპ შემოსავლების სამსახურთან, ყველა ინსტანციის სასამართლოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან, აიღოს სააღსრულებო ფურცელი და აღნიშნულთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ხელი მოაწეროს წარსადგენ დოკუმენტაციას, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს შესახებ, ასევე ხელი მოაწეროს ხელფასის უწყისებზე, ხელფასის ცნობებზე და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წარსადგენ ანგარიშგებებზე, ამავე სამსახურში წარსადგენ წერილებზე და სამსახურში წარსადგენ სხვა დოკუმენტებზე, ხელი მოაწეროს ნებისმიერ ბანკში წარსადგენ საბანკო გარანტიების განაცხადებს, საბანკო გარანტიების კორექტირების განაცხადებს, ნებისმიერ ბანკთან გასაფორმებელ საბანკო გარანტიების ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ხელი მოაწეროს საბანკო გარანტიების უზრუნველსაყოფად გირავნობის ან/და იპოთეკის ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს. იყოს სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს წარმომადგენელი, ქონდეს ყველა საპროცესო უფლებამოსილება და აწარმოოს ყველა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმე საქართველოს ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოში. შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება და პროცედურა, რაც საჭირო გახდება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს მართვასთან, წარმომადგენლობასთან და ზემოაღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

- **მინდობილობა ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია ექვს ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ოთარ გოლოძის სანოტარო ბიუროს არქივში (დანართი: B2113275 ამონაწერი და წესდება – ინახება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ვებ-გვერდზე), დანარჩენი გადაეცა მინდობილობის გამცემს.

საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად 10 ლარი, 34-ე მუხლის თანახმად - 20 ლარი, 2 ლარი თანახმად 39-ე მუხლისა, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ – 5.4 ლარი.

ხელმოწერა: _____

ნოტარიუსი ოთარ გოლოძე